საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

30-07-4-201805311608

31/05/2018

N 30

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება №30**
**2018 წლის 31 მაისი**
**ქ. ლანჩხუთი**

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში (ვებგვერდი 06/07/2016წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.016273) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესი“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული დოკუმენტების მიღება- რეგისტრაციას და მათ პირველად დამუშავებას ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება.“

ბ) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესი“ მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტების დედნები ინახება მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო